ქვირა, 11 მაისი. № 10.—1914 წ.

ი. ბაქრაძე (1852—1904)

გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო

სათათბიროს დარბაზიდან დეპუტატ ჩხენკელის ძალით გაყვანა

ოქტანი ასოები

№ 10

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

1) გაუგებრობა, შეუგნებლობა თუ ბოროტმოქმედება?! მეთაური 1
2) რკალები,—რელიგია ზეკაცობისა, ს. ᲨᲐᲨᲕᲘᲡᲘ 2
3) პირველი გამოსვლა, ეფ. მესხისა 3
4) ღია კარი, შალვა დადიანისა 5
5) ჩემო კარგო ქვეყანავ (ლექსი), ვ. კირვალიძისა 5
6) ისააკ ლევიტანი დ. კილფისნიძისა 6
7) სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი—I. ეგ. ნინოშვილი; II. იოსებ ბაქრაძე, ი—ისა 8
8) ადამ მიცკევიჩიდან (ლექსი), გ. ᲯᲝᲜᲘᲫᲘᲡᲘᲡ 8
9) სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი დეპუტატები (სურათები) 9
10) იგი არ არის მკვდარი!.. ისა 9
11) გზაში (სილუეტი), სპირიდონ მცირიშვილისა 10
12) მეუფე ურიათა, (კ. რ-სა) თარგ. კ. მესხისა 12
13) ქართული სახალხო თეატრის ისტორია, გ. ᲯᲐᲑᲐᲣᲠᲘᲡᲐ 14
14 ქართველ მწერალთა წერილები (მოგონება),—ილ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ,—სოფ. მგალობლიშვილისა 15
15) წვრილი ამბები 16

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 15 მაისს, გაიმართება

ირ. ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ოთხ განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

კ. ი. ᲛᲣᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახ. სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრის ვამეობა

ამით აცხადებს, რომ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ

ᲙᲠᲔᲑᲐ

შესდგება ოთხშაბათს, 14 მაისს, სახალხო სახლის შენობაში დილის 11 საათზე.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში,
2) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა,
3) ახალი წევრების მიღება,
4) კამეგობის და სარეგიზიო კომისიის არჩევნები.

(1—1)

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოების ვამეობა აცხადებს, რომ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐ

შესდგება ქ. თბილისს ქართულს თეატრში კვირას, მაისის 25-ს, 1914 წ., დღის 12 ს.

ᲣᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲮᲛᲘᲗ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ:

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ. 2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს. 3) მსახიობთა და სტენის მოუყვარეთ. 4) სტენის მოდვაწეთ, რომელთაც-კი რამე დამსახურება მეუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვსთ მასთან. 5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ ᲮᲠᲝᲒᲠᲐᲛᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲣᲚ კითხვებზედ. 6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ. 7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს. 8) ᲑᲣᲨᲓᲕᲘᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ წარმომადგენლებს. 9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲘᲮᲓᲘ: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მან., დანარჩენნი—2 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადათ და წერილობით თბილისის დრამატ. საზოგად. კონტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში **მაისის 20-მდის.**

ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი.

№ 10

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,**სოროპანი**''-ს სტამბაში). მისამართი:

Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"
Іос. Имедашвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

№ 10 ქვირა, 11 მაისი 1914 წ.

11 მაისი.

გაუგებრობა, შეუგნებლობა თუ ბოროტმოქმედება?!

გაჰქრა კრძალულება, ზნეობამ ლეჩაქი ტალახში გასვარა, შეიპილწა წმიდა სამეუფო უწმიდესი ტაძრისა...

ფარისევლობა, ბედოვლათობა, უსირცხვილობა,—აი რითი ხასიათდება ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ყოფა-ცხოვრება სიტყვით მშობლიური კულტურის აყვავებაზე გაჰკივიან, საქმით-კი სწორედ თვითონ ელვის სისწრაფით ავრცელებენ საკუთარის გასანადგურებლად უცხო კულტურას, – ენას, მწერლობას, ზნეს, ჩვეულებას,—სცენაზე, ოჯახში, საზოგადოებაში,—სად არ გინდათ...

სიტყვით გაჰკივიან—მამა-პაპათა სისხლით გაპოხიერებული მიწა-წყალი ხელიდან გვეცლება, უცხონი გვიბატონდებიან, ჩვენს დედა ქალაქში ჩვენ აღარ გვაბოგინებენ, საქალაქო საქმეებიდან გვდევნიანო, და იმავე დროს ვალში შესატანად ჩამოტანილ ფულებს ნარდ-ლოტო-კარტში აგებენ რამდენიმე წუთის განმავლობაში, ანუ გაუთავებელ სადილ-ვახშმებში ჰფლანგვენ, და როდესაც ბანკში დაგირავებულ მამულს საჯარო ვაჭრობიდან უცხო, ჩამოსახლებული ყიდულობს, ქალაქში ბინავდება და მდგომარეობის ბატონი ხდება, ჩვენი ვითომდა ჭირისუფალნი, იმავე კლუბის თუ სხვა საზოგადო დაწესებულებათა მესვეურნი, ნიანგის ცრემლებს აფრქვევენ... იმუშტებიან!..

მშობლიურ კერას მოწყვეტილი, სამშობლო კულტურის არ მცნობნი და არარად ჩამგდებნი, ე. ი. სულიერად გაღატაკებულნი, ნივთიერად უკვე გაკოტრებულნი ანუ კოტრობის გზას შემდგარნი, ზნეობრივადაც გაკოტრების გზას დაადგნენ და... თავქვე უფსკრულისკენ მიქანობენ!..

რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ, თუ არა ზნეობრივი კოტრობა იმ, უკაცრაული პასუხია, ,,საოჯახო საღამოს'' (მეორე ნაწილს), რომელიც 6 მაისს „ახალმა კლუბმა'' გამართა ქართულ თეატრში!..

ჟინის აღმძვრელი ცეკვა—ლოშნა-ხვევნა, სქესიურ ვნებათა გამღიზიანებელი ტორღოალი, გაშიშვლებული უსირცხვილობა, უტიფრობა,—კულტუმისა, ბარძაყებისა და სახის უხამსი მიმოხვრა, ნუ თუ ხელოვნება ჰგონიათ და შესაწყნარებელია?!

ასეთი ზნეობრივი ლოთობანობა, თავახსნილობა ნუთუ ცოტად თუ ბევრად თავმოყვარე და თავის ღირსების ფასმდებ საზოგადოებას შეშვენის?!

რას შვრებით, ბატონებო, საით მისდიხართ? ნუ თუ ცოლი, შვილი, და, დედა არ გებრალებათ და მათს სათუთ გრძნობას ანგარიშს აღარ უწევთ?!

რატომ არ მოიგონებთ, რომ ხშირად ზნეობრივ სისპეტაკეზე ჰღალდებთ და იმავე დროსკი... სცენიდან რას გვიჩვენებთ?!

იქნება სთქვათ, ცხოვრების ანარეკლი გიჩვენეთო!—სტყუით,—ჩვენი ცხოვრება ჯერ აგრე არ შეცვლილა...

დაე, თუ სატახტო ქალაქთა დამყაყებული, გარყვნილებაში ჩაფლული მაღალი წოდება, ტამრებ-მოდუნებული ფლუანდარი საზოგადოება ასეთი გარყვნილებით სტკებება, მათვე ჰქონდეთ სულის საზოდოდ, ჩვენ რა ცოდვა მიგვიძღვის, ჩვენს სამშობლო სცენაზე ასეთ წუმპეს რომ ამდორებთ?..

„ახალი კლუბი'' თუ ვერა ჰგრძნობს ასეთ

,,საღამოების'' უხამსობას, ქართ. დრამ. საზოგადოება მაინც რატომ ფხიზლად არ სდარაჯობს, რომ თვის წმიდა ტაძარში ასეთი უწმაწური, გამხრწნელი მანჭვა-გრეხვა არ გამართონ ხოლმე?..

თუ მაინცა და მაინც არ დაუშლიათ, დაე, ჩვენმა, გადაგვარების გზაზე შემდგარმა, ,,მოწინავე წოდებამ'' მხოლოდ თავის საკუთარ, კერძო ოჯახებში მოაწყოს მსგავსი ,,საღამოები'', ვნებათა აღძძვრელი ცეკვა—სხეულის კუნთთა სასირცხვო მიმოხვრით... ალბად მისი მოდუნება, უაზრო ცხოვრების შედეგია და მასვე ჰქონდეს...

სწორედ არ იცი, ჩვენი საზოგადოების ასეთი მოლიპულ გზით სიარული რითი ახსნა,—გაუგებრობით, შეუგნებლობით თუ ბოროტმოქმედებით?

რა მიზეზიც უნდა იყოს, სულ ერთია, ოღონდ ჩვენი თეატრის სამსხვერპლო-კი ყოველგვარ სიბილწისგან დაცულ იქმნეს...

რკალები

რელიგია ზეკაცობისა

დღეის ხელოვნებამ დაწვრილმანებული ადამიანები თითქოს უკუ აგდო და, მის ნაცვლად, ჩვენი პოეტები ცოცხალ სიმბოლოდ ბუნებას იღებენ თვისი აქტიურის დასაწყისით.

მაგრამ ჩვენი მწერლობა ადამიანისაგან მაინც ვერ განთავისუფლდა და, ამა თუ იმ სახით, იდუმალი ლტოლვა ამ ადამიანისადმი მაინც გამოსჭვივის.

მხატვრის ბუნებას მაინც იდუმალ სწყურია იხილოს მოძრავი და მოქმედი ადამიანი, გაშალოს მისი წადილი და ტრაღედია.

და ამ მიზანს იგი ორის გზით აღწევს: ან მითოლოგიას და ძველ გმირთა შესახებ თქმულებას მიმართავს და ამ დროს თვალწინ გვიდგება სულით ამაყი და ხასიათით მტკიცე ქართველი, რომლის სიტყვა და ზრახვა ცოცხალ მოქმედებაში გადადის, ან და იგი ფანტაზიით ქმნის ადამიანის არა დღეის მკრთალ სახეს, არამედ მის სასურველ ხატს.

აი, ეს წყურვილი დამსხვრეულ კერპის აღდგენისა—ადამიანის მთლიანი და მტკიცე ინდივიდუალობის ხილვისა დაედვა საფუძვლად მისწრაფებას ზეკაცობისადმი.

თქვენ ხშირად შეამჩნევთ ამ ლტოლვას ზეკაცისადმი დღეის პოეზიაში; მგოსანს ხშირად სწყურია, ან თვით გარდიქმნეს ზეკაცად, ან სხვანი გარდაქმნას ასეთად.

და იგი ეძახის, მოუწოდებს ამ ახალს და მის წინ იყრის მუხლებს, მასზე ლოცულობს რელიგიურის ექსტაზით შეპყრობილი.

საინტერესოა, რომ ამ ახალი ძლიერი ინდივიდუალის სპეციფიური თვისებანი თითქმის არავის შეუმცნია და განუმარტავს. მაგრამ მხატვრულ ინტუიციას იგი ჟინით მოწყურებია.

აქ თითქოს გაჩნდა ახალი რელიგია ზეკაცობისა და ამ რელიგიის შეუგნებელი ქადაგები არიან ჩვენი მგოსნებიც.

ლტოლვა ზეკაცისადმი არა ერთხელ მჟღავნებულა ევროპის ფილოსოფიაში კერძოდ და მთელის სიძლიერით იგი ლტოლვა ფრ. ნიცშეს გაუშლია.

მაგრამ ეს ზეკაცი იტევდა თვის სახელს, იგი მართლაც მაღალ-ბუნებოვანი და მწყურვალე განუწყვეტელის აქტიობისა; იგი მარადის მოკლებული იყო მას, რასაც ნიცშე „ჯოგურ ინსტინქტს“ უხმობდა.

ამიტომ ნიცშეს ზეკაცი, მისი წადილი მიუწდომელი იდეალია დღეის ყოფაში, იგი არსებითად მომავალ პირობების შვილია, განახლებულ სულისაგან წარმოდენილი. იგი მომავლის სასურველი სახეა, მაგრამ ემპირიულად ჯერ არ ხილული.

სულ სხვა გვარის თვისების არის დღეის ზეკაცი, რომელიც კერძოდ ჩვენს მწერლობაში გამეფდა, თუმცა ჩვენი მგოსნები მკრთალად და შეუმჩნევლად ხანდისხან მას ცეცხლის ალისაგან შობილს, ღვთიურ უკვდავების მატარებელს უწოდებენ, მაგრამ იგი ზეკაცი მოკლებულია ამგვარ პრეტენზიებს.

თუ ჩვენი მგოსნების ბუნებას ჩავაკვირდებით და მის წადილს ფსიხოლოგიურად განვიხილავთ, აშკარა გახდება, რომ ეს ახალი რელიგია უტოპიზმიდან შორსა სდგას, რადგან მისი იდეალი ცოცხალი, მოქმედი კაცია და არა ზეკაცი.

ჩვენ თითქოს ყოველ წუთს ვხედებით

ადამიანებს, მათთან ვცხოვრობთ, ერთფეროვანი დღენი მათის ყოფისა ჩვენაც გვფლობს, მაგრამ ამ ხალხში ჩვენ, შეუმცნებლად, ადამიანს, კაცს დავეძებთ, თვისი ინდივიდუალურის სახით. და ყველაზე მწვავედ ამ ძიებას განიცდის ხელოვანის ბუნება.

ის, რასაც ჩვენ დავეძებთ, არის სული ადამიანისა, რომელიც ყოველმხრივ შებოჭილა და სიცოცხლის, მოძრაობის ნიშან-წყალი დაუკარგავს. ასეთი წადილი ადამიანის სულის ხილვისა, მის მოძრაობის გაშლისა გამეფებულია ევროპის ლიტერატურაში და ხელოვნებაშიაც.

მაგრამ იქ ეს ლტოლვა გამოიწვია პროგრესის და ტეხნიკის განვითარებამ, რომელმაც ადამიანის პიროვნება უბრალო დამატებად აქცია და ჯგუფში გათქვიფა. იქ მთელი კლასები ერთმანეთს ებრძვიან წინსვლისათვის და არსად სჩანს პიროვნების ასპარეზი. და ევროპის ხელოვნების ინდივიდუალიზმი პროტესტია ასეთ დამონავებისა და გათქვეფის წინააღმდეგ მიმართული.

ჩვენში კი კულტურა ახლა იკიდებს ფეხს, საზოგადოებრივი დიფერენციაცია ახლა იწყება და პირველ შეტაკების შემდგომ მოღლილნი უმოქმედობას მიეცემიან და მოსთქვამენ. ჯერ მარტოოდენ შინაგანი მუშაობა სწარმოებს და ამ კლასობრივ დიფერენციაციას არ მოჰყოლია ობიექტიური გაშლა მოძრაობისა და აქტიობის. და ხელოვანი სჭვრეტს ამ საზოგადო უმოქმედობას, უაქტობას და შინაგან ტანჯვას განიცდის.

მას, ბუნებით აქტიურს, სწყურია ობიექტიურად გაშლილ აქტიობის ხილვა... მაგრამ მას თითქოს რწმენა დაეკარგა დღეის ადამიანებისა, რომელთაც ფლობს უმოქმედობა და რომელთა წადილს იჭვები ღრღნიან; და დღეის ადამიანების მხატვრის ბუნებას უსულო არსებად მიჩნია, რომელსაც დაშრეტია აქტიობის წყარო.

და მხატვრის ინტუიცია მოუწოდებს ახალ ადამიანს, განახლებულ სულს, რომელიც უკუურის იჭვებს და თვის წადილს აშკარა მოქმედებაში ამჟღავნებს. იგი გარდაქმნის ამ საზოგადო ინერციულ ყოფას და სიცოცხლეს ბრძოლით განაახლებს. ეს ზეკაცი, ცხადია, უბრალო მოძრავი და ძლიერი ნების და რწმენის ადამიანია...

აკაკი პაპავა

მსახიობქალი ეფემია მესხი

30 წლის სასცენო მოღვაწეობის შესრულების გამო

პირველი გამოსვლა

(ჩემი მოგონება)

1884 წ. პირველად გამოვედი თბილისის სცენაზე შემთხვევით.

მ. საფაროვის ქალის ბენეფისი იყო და დიდის ამბით ემზადებოდენ ამ ნიჭიერი მსახიობის პატივსაცემლად.

იმ დროს ახლად გამოსული ვიყავი სასწავლებლიდან და ვცხოვრობდი ჩემს ძმა სერგეისთან. ქართულ წარმოდგენებზე ხშირად დავდიოდი და აღტაცებაში მოვყავდი ზოგიერთ ჩვენი ნიჭიერი მსახიობის თამაშს. განსაკუთრებით თაყვანისმცემელი ვიყავი ნ. გაბუნიასი და მ. საფაროვის ქალების.

თავის საბენიფისოდ საფაროვის ქალი სდგამდა პიესას „პარიზელ ბიჭს“ და როლები საუკეთესო მსახიობთა შორის იყო განაწილებული.

მოუთმენლად მოველოდი ამ წარმოდგენას, რადგან დიდი ხნიდან მესმოდა, რა მზადებაშიაც იყო საზოგადოება ამ ღირსეულ მსახიობის პატივსაცემლად. მეშინოდა, ვაი თუ რამემ შემიშალოს ხელი და ვერ დავესწრო ამ წარმოდგენას —თქო.

გათენდა ეს სანატრელი დღე და მე კიდევ არ ვიცოდი, სადამოს წავიდოდი თუ არა წარმოდგენაზე. მოწყენილი ვიჯექი რედაქციაში და სერგეისათვის პაპიროსებს ვაკეთებდი, როდესაც ჩემი ძმა კოტე აღელვებული შემოვიდა და მითხრა:

— უნდა თეატრში წამოხვიდე, რეპეტიციაზე, ამაღამ უნდა ითამაშოო!

ამ სიტყვების გაგონებამ საშინლად შემაკრთო და თვალებ-დაჭყეტილი შევაშტერდი კოტეს. სერგეის გაეცინა, რადგან ხუმრობა ეგონა, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ კოტე არა ხუმრობდა, კოტა წყენით ჰკითხა:

— სამასხარაოდ გინდა გამოიყვანო ეგრე მოუმზადებლათაო?

კოტემ, უამბო საქმე როგორც იყო: კორინთლის ქალს, ყიფშიძის მეუღლეს, რომელსაც ახალგაზრდა ქალის როლი უნდა აესრულებინა, შვილი გახდომოდა მძიმე ავად და თამაში არ შეეძლო. რადგან დასში სხვა ამ როლის ამსრულებელი არავინ იყო, კოტე ჩემთან მოვიდა.

სერგეი წინააღმდეგი იყო საზოგადოთ ჩემი სცენაზე გამოსვლისა, მაგრამ ასეთ შემთხვევისთვის ნება დამრთო თამაშისა.

ჩემს აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მისრულდებოდა დიდი ხნის ნატვრა, მაგრამ თანაც ძალიან ვღელავდი და მეშინოდა.

კოტემ წამიყვანა რეპეტიციაზე. ჩემთვის სულ უცხონი იყვნენ იქ, სცენა, მსახიობები, მოწყობილობა.

ავქესენტი ცაგარელი სუფლიორად იყო. მან გამამხნევა, მითხრა, ნუ გეშინიან, ცალი ყური ჩემკენ დაიჭირე, ნუ შემომხედავ, ისე დამიგდე ყური და რაც მე გითხრა—გაიმეორეო.

საფაროვის ქალი ალერსით შემხვდა, მასწავლა, როგორც უნდა მელაპარაკნა.

რეპეტიცია, რასაკვირველია, უხეიროდ ჩავატარე, რადგან აღელვებული ვიყავი და როლიც ერთი სიტყვა არ ვიცოდი.

როდესაც შინ დავბრუნდი, მაშინვე ჩაუჯექი როლის სწავლასა და კარგათაც ვისწავლე.

საღამოს აცახცახებული წავედი თეატრში.

გრიმი გამიკეთეს და შესაფერი ტანისამოსი ჩამაცვეს. როდესაც სცენაზე გავედი, ყველა მსახიობები ფარდის ჭურჭუტანაში იცქირებოდნენ, მაგრამ მე ვერ გავბედე ხალხის შეხედვა.

რეჟისორად მაშინ კ. ბებუთოვი იყო. იმან შეგვატყობინა, რომ დრო იყო წარმოდგენის დაწყებისა. ყველამ თავ-თავის ალაგები დაიჭირეს და ფარდაც აიხადა.

როდესაც ჩემი გამოსვლის დრომ მოაღწია, მთლად კანკალმა ამიტანა, როლიდან ერთი სიტყვა აღარ მახსოვდა და კინაღამ ტირილი დავიწყე, მაგრამ თავი შევიმაგრე და კრძალვით გავედი სცენაზე.

მომესმა სუფლიორის პირველი სიტყვები ჩემი როლიდან და დანარჩენი კი მე თითონ გამახსენდა. თამამად დავიწყე ლაპარაკი, დამავიწყდა, რომ ამდენი თვალი მიყურებდა, მე მხოლოდ ჩემს სალაპარაკოზე ვფიქრობდი.

პირველი მოქმედება გათავდა. ყველანი მამხნევებდენ, მოსწონდათ ჩემი თამაში, მაგრამ ახლა მე ჩემს თავზე არა ვფიქრობდი. გაოცებული ვიყავი იმ აღტაცებისაგან, რომელიც გამოიწვია საფაროვის ქალის თამაშმა.

მეორე მოქმედებაში უფრო თამამად გავედი სცენაზე და მშვიდობით გადავრჩი პირველ გამოცდას. ჯილდოთ საზოგადოებისაგან ტაშიც მივიღე. დავით ერისთავი შემოვიდა კულისებში და აღტაცებით წამოიძახა:

— აი, ვინ ითამაშებს ჩემს „სამშობლოში“ ქეთევანის როლს!

ვასო აბაშიძე აქვე იდგა და მიაძახა:

— რას ლაპარაკობთ? ბავშობა ხომ არ არის?!

იმ დროს „სამშობლოს“ დადგმას აპირებდნენ და დიდი მზადება იყო: ტანისამოსები იკერებოდა, დეკორაციებს ხატავდენ და საზოგადოება მოუთმენელად მოელოდა ამ პიესის ნახვას.

მეორე დღეს დავით ერისთავი შემოვიდა რედაქციაში და სერგეის ძალიან უქო ჩემი თამაში და სასცენო ხმა. ისიც გაიმეორა, „სამშობლოში“ უნდა ვათამაშო ქეთევანის როლიო.

— მაგისთანა პასუხ-ალაგებ როლის თამაშობამდის ჯერ ეგ შორს არისო.—მიუგო სერგეიმ ღიმილით.

ჩემმა ძმამ კოტემ მითხრა, დაისწავლე „სამშობლოდან“ ერთი მონოლოგი, როდესაც წასაკითხავად შევიკრიბებით, ყველანი თავის როლიდან ერთ ადგილს წაიკითხავენ და შენც იმ ალაგას წაიკითხავო.

მსახიობები შეიკრებნენ და კოტემ მეც წამიყვანა ამ კრებაზე. დავით ერისთავიც იქ

იყო, და ბევრი სხვა გარეშეებიც. იმდენ უცხო ხალხში ისე შევკრთი, რომ არამც თუ მონოლოგი წამეკითხა, ხმაც არავისთვის გამიცია და ისევ მუნჯად დავბრუნდი სახლში.

პირველი ჩემი შემთხვევით დებიუტის შემდეგ თითქმის ორი წელიწადი გავიდა, რომ სცენაზე არ გამოვსულვარ, თუმცა მუდამ მოწადინებული ვიყავი თამაშსა.

ეფ. მესხი

ვასო აბაშიძე და ზაალ მაჩაბელი

(1879 წ. გადაღებული)

ღია კარი

გულის,
გულის!

—

გულის კარს რომ გაიღებ, შეიძლება ეგ გული შეგიცივდესო,—მითხრა ერთმა კარგუნელამ.

და დასძინა:

— შეიძლება ვინმე შეიპაროს კიდეც და მუნ დაისადგუროსო.

სიცივეში?

მაგრამ არა ცივა აქ.

იგი დიდი ხანია გამთბარია იმ უხილავი, მაგრამ უცხო ღმერთის ცხოველმყოფელ სხივებით, რომელსაც ადამიანები ჩვენს ენაზე **ხელოვნებას** ვეძახით.

გამოვტეხილვარ, აქ პატარა და ვიწრო, მაგრამ მაინც სამლოცველოა ამ ღმერთისა.

ვერ არის მოჩუქურთმებული, ვერ არის შიგ კედლებზე დიადი ფრესკები ტიტანიურ მიქელ-ანჯელოსი, რაფაელისა, ლეონარდოსი; ჩემს სუსტ ოცნებას ეგრე სადიადო ვერა შეუქმნია.

მაგრამ

იქ ნათელა, იქ თბილა, იქ მყუდროებაა.

და სულ არ მაშინებს გაღებული კარი.

უთუოდ ის შემოვა, ვისაც ლოცვა სურს, ჩემი თანაზიარები ამ ღმერთთან.

მხოლოდ რათ დაიდგა ტახტი ამ კერპმა ჩემს გულში?

მიტომ, რომ მწამს კაცობრიობას მხოლოდ **მშვენიერება** იხსნის.

და ისინი... „მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი", რომელნიც შეიძლება გაურბიან დღეს ამ ხელ-მოუკიდებელ არსს...

ერთი დროც იქნება იგრძნობენ, რომ მათი მხსნელი, მათი მაცხოვარი მშვენიერება იყო.



ჩემო კარგო ქვეყანავ

(მიბაძვა)

— ჩემო კარგო ქვეყანავ
რაზე მოგიწყენია?
— შვილო, რას მეკითხები,
რატომ არა გრცხვენია!
შვილები მტრად გამიხდენ,
გამიმწარეს დღენია:
ჩემს მიწა-წყალსს წეწავენ,
რა მაქვს მოსალხენია?
წარსულში უპირობით
მქონდა მწარე დღენია,
დღესაც ამასა ვხედავ,—
რა მაქვს მოსალხენია!

— ჩემო კარგო ქვეყანავ,
გთხოვ, ნუ მოგიწყენია...
— შვილო, ნუ თუ ვერ ხედავ?—
რა მაქვს მოსალხენია!..
შვილების უპირობამ
დამიქცია ბრუენია.
ვაჭართ ხელში ჩამაგდეს,—
განა მოსათმენია!
ჩემი გულისთვის ქართველს
ბევრი სისხლი სდენია,
მე-კი, იმათ შემყურეს,
ცრემლი დამიდენია!..

სხვები გაიძახიან:
„საქართველო ჩვენია“
და შენ-კი მეკითხები—
რაზე მომიწყენია?!
— ჩემო ტურფა ქვეყანავ,
ნუ... ნუ მოგიწყენია,
იმედს ნუკი დაკარგავ,
მომავალი ჩვენია!..

ვ. კირვალიძე

ისაააკ ლევიტანი

(1861—1900)

ესკიზი

წარსულ საუკუნის რუსულს ხელოვნებას ჭეშვს მრავალი დიტერატორი-მოამბე, და მათ შორის პირველი ვერეშჩაგინია, რომელიც ტრაგიკული ხმით მოგვითხრობს წუთის სოფლის საზარელ წამებს. მაგრამ მახვილი თვალი და გრძნობიერი გული რადია საჭირო იმისთვის, რომ დავინახოთ ამ წუთის სოფლის საშინელება. აი მისი „ომის აპოთეოზი“! თავის სარქველების უზარმაზარი გროვა! ვისთვისაა საჭირო ან რისთვის?! განა უამისოდაც ვერ ვიგრძნობთ ომის საშინელებას?! ან რა არის აქ რუსული? განა ომი უველგან ერთგვარი დვთის რისხვა არ არის?! არა, რუსეთის ხელოვნებას ესაჭიროებოდა მხატვარი ჩეხოვის ნიჭით, რათა აღენიშნა რუსეთის შარა გზა, ტუე, გაზაფხული მისი სურნელოვანი მიწით, გამდნარი თოვლი, გამხმარი ფოთლები, შეშთობილი ალფალის ბალი, არეის მწვერვალების ბომძინარე რუეგა; მან ესაჭიროებოდა მხატვარი ლირიკოსის აკაკის ნიჭით, რომელიც, მისებრ ჩვენი „ფერუზ ცის და ხმელეთ-ზურმუხტის“ სიმშვენიერის ალწერის მსგავსად, დაგვიხატავდა რუსეთის ჭალარქ ცას.

ამ გვარი ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვანი რუსულს მხატვრობაში იყო ისაკ ლევიტანი, მეგობარი და იანამოაზრე ჩეხოვის. უკანასკნელს არა ერთხელ უთქვამს, რომ უდიდესი ბედნიერება მისთვის იქნებოდა, მარად ჭქონოდა თვალ წინ ლევიტანის ბუნდოვანი, შეუშუსნელი სურათი.

ისაკ ლევიტანი ხელოვნებაში მადლიანი და ძლიერი პოეტია, ლვიძლი ძმაა კოლტოვის, ტურგენიევის, ტიუტჩევის. მის მხატვრობაში გამოსახულია სევდა რუსულ ბუნების და გლეხის სიმდერის. მაგრამ არც ამ დვთისაგან გამორჩეულმა ბუმბერაზმა დაიწყო მწუობრი დაპარაკი დაბადებიდანვე, მან რამდენიმე წელიწადი იტიტინა ბავშვურად შიშკინის და კისელიოვის დუნდულა და მოსაწყენარ ენაზე. 1889 წელს ლევიტანმა მოახერხა, როგორც იყო, წასვლა სამზღვარ გარედ პარიზის მსოფლიო გამოფენაზე, და ამ გარემოებამ მოახდინა ძლიერი გავლენა მის განვითარებაზე, რადგან გაანათა ხელოვნების ის მხარე, რომელიც აქამდის მისთვის ფარული იყო. 1892 წელს „ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოების“ გამოფენაზე ლევიტანის „ბინდმა“ მიიღო პირველი ჯილდო, და ამ წლიდან იწყება საუკეთესო ხანა მისი ცხოვრების და შემოქმედებისა. საჭირო იყო კიდევ მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი, რათა ლევიტანი სრულიად განთავისუფლებულიყო ყოველგვარ ტრადიციებისაგან და ამა თუ იმ სკოლის ნაკლისაგან; და რომ ლევიტანმა ნამდვილად მოიშორა დამოკიდებულობის უღელი, ამაში გვარწმუნებს ალექსანდრე ბენუა, რომელიც იძახის, რომ რუსულ ხელოვნების ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება ისეთი თავისუფალი, თვითმყოფი ხელოვანი, როგორიც იყო ლევიტანი.

ისაკ ლევიტანი ნამდვილი მუსიკოსია: მის ნახატებში მთელი კამეა გუნებისა, რომელიც ისმის ერთს აკორდად; არც სიუჟეტი, შინაარსი, ეფექტი; იგინი—ბუნებაა მომაკვდავი, მხიარული, ძალისთვის მომზადებული, ალერსიანი, შეშუსნელი, იდუმალი. არა, მისი სურათები სურათები რადია—თვით ცხოვრების ნაწრეა ტიდოზე. აბა, შეეხედოთ მის სურათს „სუკუნო სავანეს ზედან“! ეს ის მთის მედიდური სურათი რადია, რომელსაც გვიხატავს ი. ჭავჭავაძე თავის „კანდეგიდში“, მთისა, „სად ულაბურს მან მუედროებს კაცთ ერიამუდი ვერ შესწვდენია, სად წვიმა-თოვლნი, ეინუალად ქმნილნი, მზისკან არიდეს არა ჭნდებიან“; არა, ეს არის ის „დიდი სინაზე რუსულ ბუნების, უტეეი ტკივილი მომალულ მწუხარებისა“, რო-



„საუკუნო სავანესა ზედან“

მელსაც გვიხატავს ბალმონტი. მწვანე გორაკი, რომელზედაც მოთავსებულა რამდენიმე ჯვარი სოფლის სასაფლაოსი; უსიტყვო წყალი ირგვლივ; ცაზე სადამოს მშვიდი სინათლე, მძიმე ღრუბლების ნაგლეჯები, — და ყველა ეს ერთად გახვეული, სამგლოვიარო ძაძის მსგავსად, ტის დანაკისებურ ნისლში.

ისევ ლევიტანი უტყუარი ხვდოვანია. იგი, ბუნას სიტყვით, სტკბება არა თუ ყალმით და ფერადებით, არამედ მას შეუძლიან კანონიერად და დამაზად ხატვაც.

ბევრჯერ ეოფილა დახატული რუსული პეიზაჟი: მონასტერი, არეის ხეები, მდინარე, მაგრამ ლევიტანის ნახატი ახალი სიტყვაა, ახალი სიმღერაა. ლევიტანი უსაზღვროდ მოსიყვარულე ადამია, რომელიც თავის სიტყვიერებას უტრემლოდ სწერავს ავადმყოფ ბავშვს. მრთალია მის ნახატ ჯერერ ცაში, მგრთალ მზეში, მწკანარ ფოთლებში, თავ-ჩამოგდებულ ტყენში ჩაქსოვილია მაღალი მწუხარება, მაინც ამ მწუხარების თავულ ზედაპირის ქვეშიდან გამოსჩენილ ამდენად ძლიერი, ნაზი და მშვენიერი სიყვარული სიდამაზისადმი და სიცოცხლისადმი, რომ არავითარი საბუთი არა გვაქვს ჩავრიცხოთ ლევიტანი პესსიმისტებში, როგორც ეს შეუძლებელია ჩეხოვის შესახებ. თავის შემოქმედებაში ლევიტანმა საუცხოოდ შეაერთა გაფანტული აქა-იქ მოსწრებული თვისებები და ძიებანი სხვა და სხვა წინამავალ პეიზაჟისტ-მხატვართა, შეაერთა ობიეკტიური სიდამაზე პეიზაჟებისა და მუსიკისა, და სწორედ ამითი უნდა აიხსნას ის მოგდენა, რომ მან შეექმნა მთელი სკოლა ახალგაზდა მხატვართა, რომლებიც მისდევენ საუკარელ ოსტატს, როგორც მოგვნი გზის მაჩვენებულ ვარსკვლავს.

აღმოჩნდეს ნეტამც ერთი მაინც ამგვარი ნიჭი ქართველ მხატვართა შორის!

დავ. კილოსანიძე

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

ეგნატე ნინოშვილი (1861—1894)

8 მაისს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ს. ჩოჩხათში (გურიაში) მიწას მიაბარეს ხალხის გულის მესაიდუმლე, ეგ. ნინოშვილი, 1894 წ. 29 აპრ. უღროოდ თვალდახუჭული.

ცხოვრებამ აკვნიდანვე უდედინაცვლა ეგნატეს, ფეხის ადგმისათანავე შეაბა იგი ცხოვრების მძიმე უღელში: იყო მეძროხედ, მოსამსახურე-ბიჭად, შავ-მუშად, სოფლის მწერლად, მასწავლებლადა, და... ვინ მოსთვლის, რამდენი ვაივაგლახი არ განიცადა. მიუხედავად ამისა, არ ჩაიქრო გულს ანთებული ღვთიური ცეცხლი, მოძმეთა საკეთილდღეოდ გაღვივებული...

თვით ღარიბი გლეხის შვილმა, ადრე დაობლებულმა, გლეხისავე ვაებით აღზრდილმა და თვისით გონება-გახსნილმა, ჰაბუკობაშივე აართო ალღო ცხოვრებას და საძირკველი ჩაუყარა იმ მოძღვრება-მიმართულებას, რომელმაც შემდეგში ქართველი ხალხის გათვითცნობიერება დაისახა მიზნად, — ეგნატემ შეადგინა პირველი მარქსისტული ჯგუფი და მით საფუძველი დაუდო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ქართველი მშრომელი ხალხის ამოძრავებას...

ეგნატე იმ დროს (90-იან წლებში) გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება შემდორებული იყო, მოღვაწეთა ყურადღება ბანკს შეჰფოფინებდა, გლეხკაცობასა და მუშა ხალხს მხოლოდ ხალხოსნურ მიმართულების მწერლები თუ გაიხსნებდენ ხოლმე, ისიც შორიდან...

ეგნატემ უარჰყო შორით მზერა, იგი თვით ტრიალებდა ხალხის დუხჭირობის გულიგულში, მისი ვაებით იტანჯებოდა, მასთან ერთად კვნესოდა...

მთელი მისი სამწერლო მოღვაწეობა მაჩვენებელია ჩვენს ცხოვრებაში ახალი ხანის დაწყების, ახალი ურთიერთობათა დამყარების, ძველ შეხედულებათა შერყევის, უტყუარი სურათია ჩვენი დაბეჩავებულ, უფლება-აყრილ ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და უკულმართობის წინააღმდეგ სასტიკი შეძახილი.

უვიცობა, გონებრივი სიბნელე, ცრუმორწმუნოება, წოდებრივი უთანასწორობა, ძველ ადათ-ჩვეულებათა ბრმა მორჩილება, ხალხის სიღარიბე და მისგან წარმომდგარი აურაცხველი უკეთურებანი, — აი რა აქვეითებს ჩვენს ქვეყანასო...

მოსპეთ ქონებრივ-უფლებრივი უთანასწორობა, შეიტანეთ ხალხში განათლება, ადამიანი იცანით სრულ პიროვნებად, სრულ კაცად ჰქმენით გლეხი და მუშა, — აი რას გვიმოძღვრებდა იგი...

და ყოველი სიტყვა მისი უკეთესი მერმისის ძლიერ რწმენას გვინერგავს, ცხოვრების განახლებისაკენ მხნედ მოგვიწოდებს...

ამიტომაც არა თუ მხოლოდ მისი ნაწერები, არამედ მთელი მისი ტანჯვით აღსავსე ცხოვრება-მოღვაწეობის გაცნობასაც-კი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ხალხისთვის...

დღეს ქართველი დემოკრატია უკვე ყალიბდება, გარკვეულ გზას ადგება. ეგნატეს დროს-კი მთელი ქართველი ხალხი მხოლოდ ერთგვარ, გაურკვეველ მასსას წარმოადგენდა. ეგნატე იყო ქართველი მდაბიო ხალხის განკაცების უუმტკიცესი მოციქული. ამას თვით ვერ მოესწრო, — მზე ეგნატესი მაშინ ჩაესვენა, როდესაც მარად მისთვის საყვარელ ხალხს ახალი ცხოვრების განთიადი უღიმოდა...

ეგნატემ მაინც თვისი ცხოვრება-მოღვაწეობით საპატიო ადგილი მოიპოვა სამშობლო ქვეყნის მოღვაწეთა ხოლში, — დანიელ ჭონქაძის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, გ. წერეთლისა და სხვა მისთანაოა გვერდით.

და როდესაც ქართველი ხალხი სავსებით გამოერკვევა დღევანდელ მოჯადოებულ მდგომარეობიდან, — შეიგნებს თვისს ნამდვილ ჭირვარამს, და შეიცნობს თავის მრავალ-ტანჯულ მწერლის — ეგ. ნინოშვილის — სულისკვეთებათ, მაშინ მისი მზეც უფრო ბრწყინვალედ გაიკაშკაშებს.

II. იოსებ ბაქრაძე (1852—1904),

ქართული თეატრისა და მწიგნობრობის უანგარო მუშაკი, ათი წელიწადი სრულდება (14 ივნისს), რაც ქართველ მოღვაწეთა მცირე ჯგუფს გამოაკლდა. ობლობით სიღარიბეში გაზრდილი, სემინარიაში სწავლის დროსვე შეუდგა საზოგადო მუშაობას: სწერდა ლექსებს, მონაწილეობდა ქართულ სამუდამო სცენის დაარსებამდე სცენის მოყვარეთა წრეებში და სხ., მაგრამ იგი განსაკუთრებით ცნობილია ვითარცა ბაირონის, ჰეინეს, გუცკოვის, ვალტერ-სკოტის, სუნდუკიანცის და სხვათა მთარგმნელი. 70-იან წლებიდან მოყოლებული იგი ჩუმად, მაგრამ მხნედ მუშაობდა ჩვენი წინმსვლელობის ყოველ ასპარეზზე. მისი ნაშრომნი ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და ჯერაც მადლიერ გამომცემელს ელის. ი. ბაქრაძე ენის კარგ მცოდნედ ითვლებოდა და ამ მხრითაც ფრიად საჭიროა მის ნაშრომთა ცალკე გამოცემა მოზარდი თაობის საკითხავად. ი—ი

ადამ მიცკევიჩიდან

I

ოდესაც იშვებს ჩემი ნეტარი,
ვით ყრმა იცინის, ამოდ ჭიკჭიკებს;
მაშინ არა მსურს დუმილით ვმზერდე
და კვლავ ყურს ვუგდებ მისს
სიმღერა-ხმებს...

II

ოდეს მგზნებარებს მიჯნურის თვალი,
ოდეს ნელ-შუქით ლოყა ჰფეთქდება
და მასა ზედა სახმილი ალი
ხან არესა ჰსწვავს და ხან-კი ჰქრება...
როს მარჯანთ შუა კბილი ელვარებს,
ვნებით იწვება მუნ ბაგე ორი,
მაშინ არ ძალმიძს დუმილით ვმზერდე
და მყისვე მინდა, ვუძღვნა ამბორი!..

გ. ლეონიძე

სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი დეპუტატები

(22 აპრილს სათათბიროს 15 სხდომიდან განდევნილები)

ნ. ჩხეიძე

ა. ჩხენკელი

ვ. გელოვანი

სათათბიროს დარბაზიდან დეპუტატ ა. ი. ჩხენკელის ძალით გაყვანა.

შუაში ჩხენკელია (1), ორ ჯარისკაცთა შორის, მის წინ პოდპოლკოვნიკი ბერტჰოლდი (2). ჩხენკელის შემდეგ შრომის ჯგუფელი ა. თ. კერენსკი (3) და ვ. ლ. გელოვანი (4), მეორე რიგში ნ. ო. იანუშევიჩი (5) და ვ. ნ. პეპელიაევი (6). პირველ რიგში ა. მ, ალექსანდროვი (7), ა. ფ. ბურიანოვი (8) და ა. ი. რისლევი (9).

პირველად ა. ი. ჩხენკელი გაიყვანეს ძალით. როდესაც პოდპოლკოვნიკმა ბერტჰოლდმა დეპუტატს მხარზე ხელი დაადო და სთხოვა გასულიყო, ჩხენკელი თვის ადგილიდან მძიმედ წამოდგა და წამოიძახა: „მე ვემორჩილები ძალდატანებას"! დარბაზიდან გამოსვლის დროს კარებიდან უმრავლესობის საყურადღებად დაიყვირა: „საცოდავი მონები"! დეპუტატმა ა. თ. კერენსკიმ სათათბირო დარბაზიდან გასვლისას თავის ადგილიდან დაიყვირა: ,,ვემორჩილები უხეშ ძალას. გაუმარჯოს თავისუფლებას!'' უკანასკნელად გ. ი. პეტროვსკი გაიყვანეს.

იგი არ არის მკვდარი!..

(ეგ. ნინოშვილის ხსოვნის)

—

სული დალია, მაგრამ არ მოკვდა...

იგი, ვინც მშობელი ხალხის ჭირ-ვარამი გაიზიარა, ტანჯულ მოძმეთა ცრემლებით ეზიარა, მთელი თვისი სიცოცხლე უკუღმართი ცხოვრებისგან გამწარებულთ უმღეროდა, ღარიბ-ჩაგრულთ დახსნისათვის ბრძოლაში სული დალია, სული ერთგული, არ მომკვდარა...

ხანმოკლე იყო სიცოცხლე მისი... ჯერ კიდევ ბევრი დარჩა უთქმელი, მაგრამ რის თქმაც მოასწრო, იმითაც გზას გვინათებს... იგი თვისი სულის მონაბერით ცოცხალია და არც მოკვდება, ვიდრე ქართველი ხალხის გულში არ ამოჰქრება მისი მშობლიური, ტკბილი ენით მონათხრობი, მისგან გაღვივებული ძმობა-ერთობის და კაცთა სიყვარულის აზრები...

ვინ იყო იგი?

იგი იყო ჩვენი ჭირ-ვაების მომღერალი, ჩვენი გულის ნადების გამომთქმელი...

...შენ არ მომკვდარხარ და არც თუ მოკვდები, ჩვენო ერთგულო, სულმნათო მოძღვარო!..

გზაში

(სიდუეტი)

...ფიცხია, კნიაზო, გურული კაცი, მეტის მეტად ფიცხია... არ გეწყინოს კი და... შახტება უცებ გაუხედნავ კვიცივით, შატლინკდება შამაცხონებული და აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, დამაგრდი...

— საიდან ვიცი მე ესა? ვახ. ნეტავი არ ვიცოდე, კარგი იქნებოდა, შენმა მზემ, მაგრამ რომ ვიცი, ჩემ საკუთარ ზურგზე რომ გამოვცადე! ერთხელ ისეთი მცემა, ისეთი მცემა გურულმა, კნიაზო, რომ სულ ბოლი ამადინა...

— გიამბო? რათ გიყვარს, კნიაზო, შენა ასე გამოკითხვა, თითქოს ,,სლედავატელი'' იყო... ჰო, კარგი, რაკი გიამება, გეტყვი, საქმე ხომ მეტი არაფერი გვაქვს და მერმე ისიც უნდა ითქვას, რომ კარგია გზაში ლაპარაკი— მიდიხარ, საუბრობ -გზა ისე თავდება, ვერ-კი გაიგებ... სადილი კნიაზო? აი გავიაროთ კიდევ, დუქანი შეგვხვდება, ჩვენი სოფლის ბიჭს უპირავს, იქ დავნაყრდეთ. შენა მპატიჟობ, კნიაზო! კაი დაგემართოს, მაგას რაღა სჯობია... ღვინოსა? ვახ, ვახ! ესვამ მა რა! ქართველმა და ღვინო არ დავლიო! შენა, კნიაზო, არ სვამ! ვერა, ვერ დაგიჯერებ, უღვინოთ როგორ შეიძლება, ღვინო ზიარებაა...

— მე მეგონა დაგავიწყდა—რაკი არ მეშვები, გიამბობ, ჯანი გავარდეს.

— ერთხელა, კნიაზო... ი ეშმაკი რო კაცს აიტაცებს, თორემ მამა დალაქი მყვანდა, ნალბანდობას რა მრჯიდაო, აბა და რა ჩემი საქმე იყო ვაჭრობა,—ერთხელა, კნიაზო, ჩავწყე კალათში ასიოდე კვერცხი და ა-ნში წავიღე. იქა მაშინ ,,ნასლეტნიკი'' ცხოვრობდა, აცხონოს ღმერთმა, ძაან კაი კაცი იყო და ჩვენა, ქართველები—ამბობდნენ—ძაან უყვარსო. დიდკაცობა ბევრი იყო მაშინ იქა, სასმელ-საუმელსა კაი ფასი ჰქონდა—ერთი კვერცხი შაურად იყიდებოდა. ჰო და მეც წავბაძე მეზობლებს, მოუყარე თავი ასიოდე კვერცხს— ერთი ხუთი მანეთი გამოვა მეთქი.

— მივუახლოვდი ა-ნს და დახე ერთი, ის ოხერა და ტიალა გეურქა ვაჭრის ბიჭი, სახელად ხორენას ეტყვიან, ის არ გადამიდგა წინა! ეხლა იმ ბიჭს ხილის დუქანი აქვს, ერთი ოხერი ვინმეა, ნამდვილი კინტო.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— კალათში რა არი?

— კვერცხი.

— გასასყიდია?

— გასასყიდია მა რა იქნება, ნათლიდედა როდი მყავს ა-ნში, რომ იმას მიუტანო.

— მაშ, მაიტა რაღა, ერთბაშად მამყიდე.

— იყიდე, შვილოსან, ვინმემ ხომ მაინც უნდა იყიდოს.

— რამდენია?

— ასი.

— ეჰ, ჯანი გავარდეს, ერთი ახლისაგან ახალი, ქორფა მანეთიანი მიგდია ჯიბეში, ვერცხლის ფული...

— რა კარგი ბიჭი ყევხარ და დედაშენსა!..

— მა რა გინდა... კარგი, შენი ხათრისთვის ათ მაურსაც დაუმატებ.

— ეხ, ახპერჯან, შენ არ ხარ მუშტარი.

— რამდენი გინდა—თქვი შენა.

— კვერცხი—შაური.

— ერთი კვერცხი—შაური? მერმე და, შე ქრისტიანო, ღმერთი აღარ არის?

— ღმერთი, შვილოსან, დიდება მის სახელს... როცა თქვენ ყიდით რაიმეს, მაშინ რათ არ გაგონდებათ ღმერთი?

— ჰო, კარგია, ნუ მიჰქარავ... მოიტა, ორი მანეთი...

— რას ჩამაცივდი, ძმაოჯან, ვინ გაძალებს! მე ფასი გითხარი. არ გინდა? მშვიდობით იყავი.

— არც ორ მანეთ-ნახევარი გინდა?

— ხუთ მანეთს კაპეიკიც არ დააკლდება.

— უჰ, შანვორთი... ტუტუც ვრაც...

— შანვორთიც შენა ხარ, ტუტუციცა, სომეხიც და არც არა იცი რა.

— მაშ წადი თუმნად გაჰყიდე... აი, აბა გაჰყიდე!

და უცებ, კნიაზო, ჰკრა წიხლი კალათსა, ჰკრა წიხლი, გადააბრუნა და ერთ წუთას ჩემი კვერცხები ფფასავით აქცია. მოფიქრებაც-კი ვერ მოვასწარი, რომ ის უკან, ა-სკენ გარბოდა.

ვიდექი და დავცქეროდი თავზე ჩემს დამ-

ბიკენტი (ჰოლა) ლომთათიძე (სპ. მცირიშვილი)

მე-2-ე სახ. სათამბიროს წევრად ნამეფი, ასტრახანს გადასახლებული. (მისი ავადმყოფობის გამო)

ტვრეულ კვერცხებსა, რომ ამ დროს უკანიდან ა-ნში მიმავალი პრიჭტავი წამომადგა თავზე მისი ჩაფრიანა.

— ე რაა, ბიკო!

— შენა და შენი ღმერთი, კნიაზო, მიშველე!

ყველაფერი უამბე.

— იცნობ იმ ბიჭსა?

— აკი ვთქვი, გეურქას ბიჭია მეთქი.

— წამამყევ.

მივედით ა-ნში, გაგზავნა ჩაფარი. ი სულელი ბიჭი აკი დუქანში დახვედროდა. მოიყვანა ჩაფარმა.

— შენ, ბიჭო, რა თავს იგდებ ა? დაუყვირა პრიჭტავმა.

— მე არ ვყოფილვარ, ბატონო!

— არ ვყოფილვარო, რო ამბობ, რა იცი რაზე გეკითხები შენ...

და ერთი ისეთი პრიჭტავული აჭამა, რომ მოწყვეტილ ვაშლივათ დაეცა ძირს ი ჩემი ცოდვით საცხ.

— რათ დაუმტვრიე კვერცხები?

— კნიაზის მზემ, მე არ მექნას.

ეხლა უფრო მაგრათ გაუშალა სახეში, დასცა ისევ ძირს და შედგა წიხლებით. ის კი გაიძახოდა—არა და არაო. ოხერი! მე რომ იმიდენი მცემონ, რაც არ ჩამიდენია, იმაში გამოვტყდები, ის კი... ვუცქირე, ვუცქირე, კნიაზო, ამ ამბავსა და უცებ დავფიქრდი: კაცო და კვერცხის გულითვინ აღამიანს ჰკლავენ, რა პასუხი უნდა გავცე ღმერთს, ჩემ გამჩენს, ხომ მონათლული, მირონცხებული კაცი ვარ მეთქი. შემეცოდა, შემეცოდა ი ძალი, კნიაზო...

— კნი-ი-აზ! გავბედე.

ვერ გაიგონა.

— კნიაზო!

— რა გინდა?

— კნიაზო, სულს ვერ დავკარგავ...

— რაო?

და ისე გადაატრიალა თვალები, რომ... შემეშინდა, მარა რაღას ვიქმოდი.

— მგონი ეგ ბიჭი არ ყოფილა, კნიაზ...

უცებ დაელა და დაელა თვალებში. როცა გონს მოვედი, მიწაზე ვეგდევი.

— აი შე ასეთო, შე ისეთო... შე ტეტია და ვიროო... დამცინი?

და დაიწყო ჩემ ზურგზე ცეკვაობა. შემდეგ ამიღეს და დამამწყვდიეს. ვეგდე იქ ის ღღე და ის ღამე. გათენდა—გამამიყვანეს.

— მოდი, ბიჭო, აქ!.. მიბძანა პრიჭტავმა. მივედი.

— ხომ ის ბიჭი იყო?

— მა სხვა ვინ იქნებოდა! ის იყო.

— მაშ რათ იუარე, თუ ის იყო?

— შამეცოდა, კნიაზო... ღმერთმა დიდ ხანს გაცოცხლოს და ე მუშტები ბამბისა როდი გქონია.

— ა შე ტეტია, შენა! შენ კი შაეცოდე!

— რა ვქნა, კნიაზო, მე ქრიტიანი, მონათლული კაცი ვარ.

— ქრიტიანი! ქრიტიანი! წადი დაიკარგე აქედან, შე ქრიტიანო, შენა!

ერთი პანღური კიდევ ამამკრეს და გამამგდეს.

— მივდივარ დალონებული. ვფიქრობ: აბა, რა შენი საქმე ყოფ, შე ვირის თავო, ვაჭრობა, ღმერთს რომ შნო არ მოუცია... გავიხედე—აკი ი ბიჭი ისევ გადამიდგა წინა. შავატყე—კარგი არ ედვა გულში, მაგრამ თითქოს ვერა ვხედავ.

— სად მიდიხარ შე...

ერთი ისეთი მყრალი შემომაგინა, კნიაზო, რომ...

გულზე მდუღარე გადამეცლო, თვალები დაბნელდა. ე ოხერი და ტიალი, ალბათ ჩემ წერა ყოფილა მეთქი...

დავტაცე, კნიაზო, ხელი, ავიღე და ისეთი დავანარცხე მიწაზე, რომ თუ ცოცხალი დარჩებოდა, არ მგონებია. ემან კიდევ უფრო გამაგიჟა, მივდექი და დაუწყე ჯიჯგნა.

მოცვინდა ხალხი, პოლიციამაც მოგვისწრო. წამიყვანეს, შამიყენეს „პრატაკოლი“, მცემეს... შამდეგ ერთი კვირა „მიროი სუდმა“ ციხეში დამამწყვდია... აი, ასე იყო ეს, კნიაზ...

— გურული კაცი რა შუაშიაო? როგორ თუ რა შუაშია? აკი ვთქვი, მცემა მეთქი პრიჰტავმა. ი პრიჰტავი გურული იყო, არ მითქვამს განა, კნიაზ? ჰო, და ფიცხია, კნიაზო, გურული კაცი, რომ ახტება გაუხედნავ კვიცივით, შატლინკდება, მერმე მისი დამშვიდება ძნელია... გურული კაცი-კი ხარ, კნიაზო, მარა, ეს ასეა და არ გეწყინოს!..

აი დუქანიც მოჩანს...

სპირიდონ მცირიშვილი

ახალციხის ციხე
მაისი 1911 წ.

მეუფე ურიათა

დრამა 4 მოქ. და 5 სურათად, **მის იმპ. უმ. დ. მ. კონსტანტინე კონსტანტინეს ძის** (კ. რ.)

(დასაწყისი იხ. „თეატრი და ცხოვრება № 8 და 9)

სადუკევ. ეგ ძნელი საქმეა. ხალხს სათაყვანოდ ის გაუხდია და ღმერთად სახავს! ქვებით ჩაჰქოლვენ, ვინც ხელს შეახებს! ჯერ დავუცადოთ. დაწმდეს ეგ ღელვა, ეგ აღტაცება და მერე მარტოდ ხელთ ვიგდოთ სადმე...

პირ.ფარის. (ხმა დაბლა ფარულად) მესმის...

მ-2-ე ფარ. მიყრუებულ ადგილს, ბნელსა ღამეში

სადუკევ. შევიპყროთ იგი და წარვუდგინოთ მღვდელმთავარსა!!

მეორე ფარის. მოწმებს ვიპოვით!

პირ. ფარის. ბრალსაც დიდს დავდებთ!

სადუკევ. ვეღარ ასცდება სიკვდილით დასჯას!

იოსებ. რა სიმდაბლეა! ჯალათნი! მკვლელნი! მე ვეღარ ვუსმენ!

ნიკოდ. დაჩუმდი. არ ღირს ამათთან შებმა.

სადუკევ. და იგივე ბრბო, დღეს რო მისდევდა და აღმერთებდა, ხვალ შეეთანხმება მოსამართლეთ და სიკვდილით დასჯას ისიც მოითხოვს!!

პირ. ფარის. შენ მართალი ხარ... ბრბოს საიმედოდ ნურავინ ჩასთვლის, იცვლება იგი, ვითა ამინდი გაზაფხულისა.

მეორ. ფარის. ხელთ რომ ვიგდოთ ეგრე ფარულად, საჭირო არის ვიცოდეთ ბინა, სად დადის ხოლმე?!.

სადუკევ. ეს ყველეფერი მოაზრებული და ნაფიქრია: მის მოწაფეთგან ვიცნობ იუდას, ისკარიოტლად წოდებულსა. ვერცხლისა ჩხრიალი უფრორე მეტად სასიამოდ უჩნს ვიდრე სწავლა უანგარობაზე!! იუდას უკვე შევასმინე მე ესრეთ ჩხრიალი. ტკბილად ეჩვენა. და თუმცა ფასში ჯერ არ შეერიგდით, მაგრამ სიხარბემ ააჭიკჭიკა!!

პირ.ფარის. მოვესწრობით-კი მალე მოულოთ ბოლო ურჯულოს?!

მეორ.ფარის. თქვენათ მიგულეთ ყოველ საქმეში!!

ნიკოდ. (იოსებს) ახლა-კი დროა ჩემის წასვლისა! (ადგება)

სადუკევ. ფრთხილად იყავით... რა ხმაურობაა?

საკუთეი მონებს მოჭყავთ ბროქულოსი და იოანნა. ნიკოდიმოსი გადის.

გამოსვლა მერვე

მეორ.ფარის. ეგ პონტოელის მეუღლე არის.

პირ. ფარის. ვინ არის მასთან?

მეორ.ფარის. იოანნა, მეუღლე ქოზასი, ეზოსმოძღვრისა მეფე ირიდის... იგი იესოს მაგდალინელით და სხვებთან ერთად ჩამოჰყვნენ აქა.

სადუკევ. სალამი მანდილოსანს!!

პირ.ფარის. იცოცხლე!..

მეორ.ფარის. ბედნიერ იყავ!!

პროქ. მადლობელი ვარ... ჩემგან სალამი გთხოვ თქვენც მიიღოთ... (სადუკეველი და ფარისეველები მძიმედ თავს უკვრენ და გადიან)

გამოსვლა მეცხრე

იოსებ (მეგებებს) ვერ გავბედავდი მოახლოებას ფრიად მძიმე რამ საქმე არ მქონდეს...

პროქ. (მონებს). საკაცე დადგით! შვიდობა შენდა ჩემო იოსებ... ბრძანე ყურს გიგდებ¡

იოსებ. მსმენია, რომ შენ მხურვალის გულით
სიმართლეს იცავ და ვერ მოითმენ
უმანკოს დასჯას!!

პროკ. თუ კეთილისკენ გსურს მიმითითო,
ბარემ სთქვი ჩქარა! მე წინდაწინვე
მადლობას გწირავ...

იოსებ. მსურს იესოზე—
გალილეველზე გელაპარაკო...

იოანა. ახ!..

პროკ. იოანა!.. გესმის რავდენჯერ
დღეს ეს სახელი ჩვენ მოგვასმინეს?!
ბევრი მსმენია მასზე, იოსებ!
მგზებარედ მსურდა სადმე მენახა!
ჩემი ოცნება ვერ შევისრულე...
მხოლოდ დღეს ერთი საათის წინად
კიცვზე მჯდომარე ჩემი სახლის წინ
მან ჩაიარა... რა მოახლოვდა,
მომაპყრა ფვალნი! დიაღ აქამდე
ასეთი სახე, შარავანდეთით
მოცული სახე, არვის მინახავს!!
ბრწყინავდა იგი განსაცვიფრებელ,
უცხო ნათელით... და თან დიდებას,
თანაც სიმშვიდეს და ჩუმსა სევდას
გამოსახავდენ იმისი თვალნი!..

იოსებ. შენი მოსვლის წინ აქ რამდენიმე
ცნობილი პირნი, ისრაელისნი
შეკრებილიყვნენ! ვერ შემამჩნიეს,
და გავიგონე: როგორის ზაკვით
ჰხამთ იესოსი სრულად აღკვეცა!!

იოანა. ღმერთო ძლიერო!

პროკ. რით დაიმსახურა
ესრეთ სასჯელი?!

იოსებ. პრეტორიაში მას მოიყვანენ!..
მოგეხსენება, მშვენიერო, მფარველო ჩემო,
მხოლოდ შენს ქმარსა აქვს უფლება
სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენისა.
მაშ შენ ხელთ არის ამიერიდან
იესოს ბედი... ყოველსა ამას
პროკურატორსა შეატყობინებ
და თანაც დასძენ, რომ მხოლოდ ზაკვით,
ქიშპით, სიავით აქ მოქმედებენ
და პირნათელი სურსთ სიკვდილს მისცენ!
შენი მეცხედრე რომაელია
და ვერ მოითმენს, რომის კანონთა
ჭეშმარიტება შებღალულ იყოს!

პროკ. დღესვე გადავსცემ, რაც აქ შევიტყე.

იოსებ. მზე კიდეც ჩადის. იყავ მშვიდობით!
მიიღე ჩემგან გამოსალმება!!

პროკ. ღმერთ ნებისა. თუ რამ ახალი
სცნო იესოზე, პირდაპირ ჩემთან,
პრეტორიაში—მოხვალ—მაუწყებ!!

იოსებ. (მიმავალი) მშვიდობა შენდა!!

გამოსვლა მეათე

პროკ. ურიასტანში პილატეს ყოფას
არა ვნატრობდი. შიშითა ვკრთოდი:
ველურ ქვეყანად, ველურ ხალხთ შორის
მიჩნდა მე თავი. მაგრამ აქ შევხვდი
მშვიდ, წყნარ იოსებს. იმასთან ერთად
შენც იოანნა!.. და ორნივესთან
სანატრელი მაქვს განწყობილება!..
მაგრამ არ მესმის მხოლოდ ერთი რამ:
რითი მოგხიბლათ თქვენ იესომა,
გალილეიდან მოსულ მოძღვარმა.

იოანა. აჰ, ჩემო დაო, დღეს შენც ეღირსე
იმისსა ხილვას! ნუთუ არ იგრძნე
მიმზვიდველობა სახე ცხოველის?

პროკ. არ უნდა გავყვეთ მხოლოდ გულ-გრძნობას
გონებით-განსჯით მწადს განვიხილო,
თუ რა გრძნებებით მოიბირიებს!
საიდან არის? ვინ არის დედა?..
სადა ჰყავს მამა?.. რა გესმა მათზე?

იოანა. ქალაქ ნაზარეთს მცხოვრებნი იყვნენ!
კარგა ხანია რაც მამა მოკვდა,
ამბობენ, იყო მეფე დავითის
შთამომავალი, ღარიბი ფრიად,
ვინმე დურგალი, ასწავა მასაც
იგივ ხელობა... მამისა შემდეგ
ყრმა მისი შვილი დედას არჩენდა
თვისის შრომითა!!

პროკ. თუმცა დიდ მეფეთ შთამომავალი,
ღარიბი ვინმე... შეუმჩნეველი
რის ძალით მეფობს ირგვლივ ყველაზე?

იოანა. გულთამხილავი არის მოძღვარი...
ხვაშიადისა დაფარვა მისგან
არ არს შესაძლო! აღჭურვილია
სასწაულთმომქმედ დიადის ძალით!

პროკ. ბევრჯელ მსმენია შენგან, კეთილო,
სასწაულებზე. ეს არა კმარა
ჩემი რწმენისთვის! რომშიც ყოფილან
გრძნებით მკურნალნი. მაგრამ განაგრძე.
დედის სახელი ახლა ახსენე,
იცნობ-კი იმას?

იოანა. დიდი ხანია!
ბედნიერიც ვარ. არ სუფევს ქალი
მის შესადარი! ვით გაზაფხული
ოდეს ბუნება იჩქარის თვისი
მომხიბვლელობა გამოაფინოს,
ოდეს ჰაერში საამო სითბო
დატრიალდება... როს აყვავებულ
მინდვრებით სიო, სურნელოვანი,
მობერავს ნაზად და ბულბულთ სტვენა
ველებს, მთეებსა, ბუჩქნარ გორაკებს
მყის ეფინება... ისრე მარიამ
აღსავსე არის ყოვლის ღირსებით!..
თითქოს ყოველი სიწმიდე სულის,
ლმობიერება, ფაქიზი გული,
სინათლით მსგავსი უღრუბლო დილის
სიწყნარითა მთვარისა სადარი
ყოვლი კეთილი, უბიწოება
მტრედთა მაგვარი... უცოდველობა
თვით ზამბახისა... ყოველივე ეს
შესისხლხორცებულ აქვს მარიამსა.
და ამიტომაც, ფრთოსანი ვინმე,
არსება ცისა, მოჰფრენდა მასთან
და ახარებდა თვით იესოს
დაბადებასა!!

პროქ. ვინ გამოიცნობს!
უფრო ბედნიერს რომელს დასახავს?
დედას ასეთი ძისა მშობელსა,
თუ შვილსა ესრეთ დედის პატრონსა?
მხოლოდ მე მაინც მზათა ვარ სმენად
მისი მოძღვრება რას შიგან სუფევს?

იოანა. სინანულისკენ იწვევს იგი ხალხს
და ასწავის: „შეიყვარე უფალი
ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა
და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა
გონებითა შენითა.
გიყვარდეთ მტერნი თქვენი,
და კეთილსა უყოფდით მოძულესა თქვენსა!"
სასუფეველსა ზეციურს უვის
ყველა დაჩაგრულ, ყოველ უმწეოს...
„ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ
თქვენი არს სასუფეველი ღვთისა"!
და იმათ ვინცა, მისთვის წვალობენ,
იდევნებიან, ასე ეუბნის:
„გიხაროდენ მას დღესა შინა, და
მხიარულ იყვნეთ, რამეთუ ესერა
სასყიდელი თქვენი მრავალ არს
ცათა შინა"!!.

პროქ. წვეთ-წვეთად შენი სიტყვანი ხვდება
ჩემს სულსა და გულს. ტკბილი გრძნობებიც
მუნ იღვიძებენ! რაღაც მშობლიურს
ჰანგებსა ვისმენ—მიხარის, ვლაღობ
და ნეტარების სიმთა ჟღერას ვგრძნობ
მსგავსად დედისა იავ-ნანინის!

(შორით ქალაქიდან ჯერ დაბლა და მერე თანდათან მაღლა მოისმის გალობა ქრისტეს მოწაფეთა. შუდამდა კიდეც)

(შემდეგი იქნება)

დამსახურებული სცენის მოყვარე

გ. ჯაბაური.

—

ქართული სახალხო თეატრის ისტორია

სახალხო თეატრს დღევანდელ ცხოვრებაში, მეტადრე ჩვენ დაბეჩავებულ ღარიბ ხალხისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს და ერთ უმთავრეს კულტურულ დაწესებულებად ითვლება.

იგი შედეგია ქართული თეატრის დაარსების და აღორძინებისა. თუ როგორ დაარსდა და განვრთადა ქართული თეატრი, ამას თავის ისტორია აქვს. ვიტყვი მხოლოდ, რომ 1879 წ. 5 სექტემბერს, როდესაც ქართული თეატრის საძირკველი სამუდამოდ ჩაიყარა, შესდგა დრამატიული საზოგადოება მისის გამგებელი კომიტეტით, სამუდამო სცენაზე გამოჩნდა სამუდამო დასი და პირველად ითამაშა კნ. ბარბარე ჯორჯაძის პიესა „რას ვეძებდი-რა ვპოვე". მას შემდეგ ქართულ თეატრში წარმოდგენები აღარ შეწყვეტილა.

რაკი წარმოდგენები ცოტა თუ ბევრად სისტემატიურად დაიწყო, ქართველ საზოგადოებასაც შეძლება მიეცა მუდმივ თეატრში სიარულისა. ქართულ თეატრს გაუჩნდენ თავისი პატივისმცემლები; ხალხის გულში დაიბადა სცენისადმი სიყვარული და მის მუშაკთა პატივისცემა.

როგორც ყოველი ახლად დაწყებული საქმე თავდაპირველად სუსტი და უფერულია, ისევე სუსტი და უფერული იყო პირველად კერძო სახლებში გამართული შინაური წარმოდგენები, მაგრამ თანდათან განვითარდა, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე, დაარსდა სცენის მოყვარეთა ამხანაგობები ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში, და, ბოლოს, ბევრი წვალების და ვაივაგლახის შემდეგ, უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო.

როგორცა ვსთქვით, ქართული თეატრის ისტორია უკვე ცნობილია, მაგრამ როგორ დაიწყო სახალხო წარმოდგენები, სად, როგორ და ვისგან ჩაეყარა საძირკველი ქართულ სახალხო თეატრს, ეს ჯერ კიდევ ბევრისთვის გაურკვეველია. ჩვენი მიზანია, შეძლებისა და გვარად, პასუხი ვუგოთ ამ კითხვებზე.

გ. ჯაბაური

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართველ მწერალთა წერილები

ილია ჭავჭავაძე

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 8 და 9)

აი რამ გამოიწვია ჩემსა და „ივერიის“ რედაქციას შორის უსიამოვნება, ინციდენტი დიდებულ ადამიანთან, რომელსაც დღემდე ვნანობ:

1887 წ. მაისში „ივერიის“ № 92-ში დაიბეჭდა ჩემი ფელეტონი „რამე-რუმე“ (წვრილწვრილი ამბემბი). ამ ფელეტონში, სხვათა შორის, მოყვანილია შემდეგი სტრიქონები: „ახლა ტფილისში რომ „ჭოი კვიცოს პოეზია“ დაიბადა და ქუჩა-ქუჩა ხოტბას გაიძახიან კვიცებისას რაჭველი მესტვირეები, განა ჩვენში, ამ ჩვენს დალოცვილს გორში, „ქართლის მეთაურში“, აღარ იკითხავთ, თუ რა პოეზია დაიბადა? ჭმ! ფას „ჭოი კვიცოს პოეზიაც“ და ათასი სხვებიცა. გორულს ლექსს ,,ქალ-ვაჟიანნს‘‘ ყველა პოეზია ენაცვალოს“.

ჯერ კარგად არ ვიყავით არც მე და არც სხვანი გაცნობილი ამ პასქვილთან, რომ სათანადოდ დამეგმო და გამეკიცხა და ამიტომ მხოლოდ ოდნავ გავკვენწლე ის პასქვილი. გავიდა მაისი, თიბათვე, ყველას დაგვავიწყდა პასქვილიც და მისი უღირსი ავტორიც.

ვნახოთ, მამდის ანტონ ფურცელაძესაგან გესლიანი წერილი, რომელმაც საშინლად ამაღელვა და ისე გამახელა, რომ აღარ ვიცოდი, რა მექმნა. ანტონის წერილი, ივნისის 30-ით 1887 წ. დათარიღებული, მივიღე ივლისის სამში. აი რას მწერდა ანტონი:

„სოფრონ! ყველა რომ წარმომედგინა, მაგას თავის დღეში ვერ წარმი.ვიდგენდი, რომ შენ არამც თუ ჩემსა და იმ შენსა და ჩემს მეგობარზედ იმისთანა სახიზღრებას, რომელსაც მხოლოდ კეზელი კადრულობს, გახდიდი ლიტერატურის საგანგაშოდ, და თვით უკანასკნელს პირებზედ, შენს მოსისხლე მტრებზედაც კი მისცემდი შენს კალამს ნებას, რომ გელაპარაკნა მწერლობაში კი არა, თვით ისრე გარეშეთაც. შენ აწვდი ხელს შენსა და შენი ცოლშვილის დამბეზღებლებს, შენ ხდი ქვეყნის სალაპარაკოთ,—ჩემზედ არას ვიტყვი რაც კავშირი იყო ჩვენ შორს,—იმ ოჯახს, იმ პირთ, რომელთაც შენ და რომელნიც შენ ერთმანერთის უკეთეს მეგობრათ სთვლიდით. დღეს, აქ ბანკში მიაქციეს ჩემი ყურადღება შენს ფელეტონზედ.“

„ჯერ რომ სულ ნანდვილიც ყოფილიყო, ან, მაშინ, დაფიქრდი, რა მნიშვნელობა ექნებოდა ამას ლიტერატურისათვის, თუ არ პირად ბრაზისა და გესლის ყრა.“

„რომ ჩვენს მწერლობას მანდამდის მივაღწევინოთ, ვეხებოდეთ ერთმანეთის ცოლებისა და დების ნამუსს, სად მიგვიყვანს, ჩემო სოფრონ, ესა? სად მიიყვანს თვით ჩვენი მწერლობის საქმესა, ჩვენი მწერლობის იდეალს?—ამაზედ დაგავიწყდა დაფიქრება.“

„ძალიან და ძალიან სამწუხაროა, რომ შენ, სოფრონზედ, რომელსაც ჩვენთაგანი ყველა უცქერის როგორც ნიჭის პატრონს, აქვს ყველა ჭორებს განვლენა და ამ ჭორებს ეძლევა ლიტერატურული ხასიათი.“

„ჭეშმარიტათ, რომ უთურგაულის საქმეების აქეთ ამგვარი წყენა ჩემს გულს არ მოჰყენებია. როცა კეზელი და მსგავსნი ჩადიან, საწყენოთ არ მიმაჩნია, მაგრამ ამას ჩადის სოფრონი!!.“

ანტონ

30 ივნისს.

(უთურგაულის შესახებ მექნება ლაპარაკი, როცა მარიამ დემურიაზე დავსწერავ მოგონებასა. არც ამ საქმეშია მართალი ბ. ანტონ ფურცელაძე).

ამ წერილს თან მოჰყვა გორს ან. ფურ-ძე. მე ვიყავ ამ დროს მათე კერესელიძისას, რომელიღაც პიესის რეპეტიცია გვქონდა. შეგვექნა ლაპარაკი ჩემი

ფელეტონის გამო, მისაყვედურა; ჩვენ ყველას გაგვიკვირდა, დავიწყებულიც იყო გორში იმ პასქვილის ამბავი. ვინ ჰყავდა პასქვილის ავტორს სახეში, ღმერთმა უწყოდა. ანტონს კი საიდღანაც და როგორღაც სხვა ნაირად გაეგო და აეხსნა. მასვე იღია გაეხელებინა ჩემს წინააღმდეგ. როცა ჩვენთან პირადად ლაპარაკით დარწმუნდა, რომ იგი მოტყუებულია, რომ მე არც იგი მეოღია და არც საყვარელი ადამიანის სახლობა სახეში, რომ მე არ შემიქია პასქვილი, პირიქით დავგმე იგი, მაშინ მითხრა ანტონმა: მაშ ეხლავე მისწერე რედაქციას წერილი, თორემ შენ წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდებაო. იმ წუთასვე მოვითხოვე ქაღალდი და კერესელიძის სახლშივე დავსწერე შემდეგი წერილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წვრილი ამბები

სამშობლოში

✦ **სანდრო შანშიაშვილის მიერ** გერმანულიდან ნათარგმნი გეტეს „ფაუსტის" შესავალი უკვე მივიღეთ. ამ მოკლე დროში დავბეჭდავთ.

✦ **მსახიობი ნ. გვარაძე,** ბაქოს დასის რეჟისორი, ჩამოვიდა ბაქოდან და გარეთ კახეთს აპირებს გამგზავრებას წარმოდგენების გასამართავად.

✦ **„სინათლე" რუსულად** სთარგმნა ლექსად ნ. მ—მ. როგორც გადმოგვცეს, პიესა საუცხოვოდაა ნათარგმნი.

✦ **„ახალმა კლუბმა"** საზაფხულო სეზონი ქართულ თეატრის საზამთრო შენობაში დაიწყო 29 აპრილს კონცერტით; კონცერტში მონაწილეობდა 60 კაცი ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. კონცერტმა დამსწრე საზოგადოებაზე კაი შთაბეჭდილება მოახდინა.

✦ **დამსახურებული მსახიობი კ. მესხი** ფილტვების ანთებით მძიმედ ავად გახდა.

✦ **რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები:** 1) ი. კერესელიძის გამოცემანი: ა) „ისტორიული სურათები", დ. ჯანაშვილისა, ავტორის სურათ-ბიოგრაფიით (IV-285 გვ.), 75 კ.; ბ) „ელგუჯა", ალ. ყაზბეგისა, სრულად დაბეჭდილი, ავტორის და ვაჟაფშაველას სურათით, 186 გვ. ფ. 40 კ. 2) „სორაპანის" გამოცემანი: ა) „სრული სამზარეულო", ბარ. ჯორჯაძისა, ფ. 1 მ. ყდით 1 მ. 40 კ.; ბ) გიუ დე მოპასანი", 349 გვ, ფ. 1 მ.: 3) ქ. შ. წ. კ. ს. ქიათურის განყოფილების გამოცემა: „ასტრონომია", ივ. გომართლისა სურათებით, 61 გვ ფ. 20 კ. ყველა წიგნი სუფთად და კოპწიადაა გამოცემული.

✦ **მომავალ სეზონისთვის რეჟისორებად** ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ მოიწვია მ. ქორელი (ქორიძე) და ალ. წუწუნავა. დასში ჯერჯერობით მოწვეულნი არიან: ნინო ჩხეიძე, ტასო აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, პიერეტა, ნ. ჯავახიშვილი, ან. ქიქოძე; ვასო აბაშიძე, კ. მესხი, ალ. იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, ალ. ყალაბეგიშვილი.

ს. გლახაშვილმა დასწერა ახალი პიესა „ცხოვრება", 3 მოქ., წარმოდგენის ნებაც უკვე დართო მეფის მოადგილის სამართველომ.

✦ **უმაღლესი ნებართვა სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის** მოსაწვევად ქართ. დრამატ საზ-ის გამგეობამ უკვე მიიღო. ყრილობის მოწვევა განზრახულია 25 მაისისათვის.

✦ **მსახიობი ვ. მატარაძე,** რომელიც შიოევისეულ სახლის ჩამონგრევის დროს დაზიანდა, ამ ჟამად დიდ გაჭირვებას განიცდის უსახსრობისა გამო.

✦ **თაგუნას იუმორისტული საღამო** გაიმართება 22 მაისს ქართულ თეატრში

✦ **ტრ. რამიშვილს რუსის მსახიობმა გორიაინოვმა** შემოუთვალა, პიესა „შეშლილნი-ს" სურათები რუსულს ჟურნალში ვნახე, განზრახვა მაქვს რუსულად გადმოვათარგმნო და თუ თანახმა ხართ, გვაცნობეთ, თბილისს როდის ჩამოვიდე, რომ თქვენის დახმარებით ვსთარგმნოვო.

✦ **ჰამსუნის პიესა** „თამარ მეფე" ქართულად სთარგმნა გ. მაღრაძემ.

✦ **კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ მოხსენებას** წაიკითხავს ლ. ცაგარელი დღეს 11 მაისს ქ. გორში მეხილეთა დამფუძნებელ კრებაზე.

რუსთა შორის

✦ **დრამატურგ-მსახიობი ალ. სუმბათაშვილი (იუჟინი)** სწერს ახალ დრამას იტალიის ცხოვრებიდან. დრამაში დაპირდაპირებულია ორი დიდებული მხატვარი—მიქელ ანჯელო, ხელოვნებაში ეროვნული ტენდენციების მატარებელი, და რაფაელი—საერთო კულტურულის მატარებელი. გამარჯვება რჩება უკანასკნელს. დრამატურგის ახლოს მცნობნი გადმოგვცემენ, პიესას ავტობიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს—მასში სუმბათაშვილის საკუთარი გამართლების ძიებაა.

ავადმყოფ მსახიობქალის დესპინე ივანიძის სასარგებლოდ

ბ. რედაქტორო!

გიგზავნით **3 მან.** გთხოვთ გადასცეთ სცენის უბედურს ამხანაგას დესპინე ივანიძისას, ამასთანავე ფრიად მაოცებს ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის საქციელი, დაავადებულ მსახიობქალის შესახებ, რომელსაც ულუკმაპუროდ სული ჰხდება ქუჩაში.

მსახიობი ი. ივანიძე

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელისმოწერა მიიღება: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის" სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**" Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.

წელიწადი მეოთხე **თემი** **წელიწადი მეოთხე**

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გამოდის ორშაბათობით

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა ,,**რაჭა-ლეჩხუმი**'', რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას ,,**ავგუსტ ბებელი**'', რომელიც საკუთრად ,,თემი''-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება ,,თემი''-ს რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4).

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**".

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

იმერეთი **ყოველდღიური საპოლიტ.-სალიტ გაზეთი**

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით

წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით 4 აბაზი, ცალკე ნომერი—5 კ.

საზღვარ გარედ წლიურად—15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

მისამართი: Кутаисъ, ред. газ. „**Имеретн**".

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე**

გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით

შრომა

სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

გაზეთის ფასი: წლით—2 მ. 50 კ.. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**".

სტამბა ,,**გერმესი**'', გრაფის ქუჩა **№ 6**.   Тифлисъ, тип. „**Гермесъ**"

მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი

ექიმი ა. ო. იაშვილი
(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და ათაშანგისა
შუადღით 1—2½ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

ექიმი ივ. გ. გომართელი
შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი
ექიმი ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12

ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

ექიმი გ. გ. მაღალაშვილი
შინაგან ავადმყოფობათა
დილით 8—10 ს.
ოლგას ქ. № 39.

ექიმი ნ. ე. თიკანაძე
(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს.
კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად სამკურნალო და შეზავებული ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(10—9)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფ.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16

ექიმი გ. ფ. ნათიშვილი
ვენერ., კანის, და საშარდე ორგ. სნეულ.
დილით 1½—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

Воспоминанія
и
ХАРАКТЕРИСТИКИ
Г. М. ТУМАНОВА
Въ 3-хъ вып. Цѣна кажд. вып. 75 к.
Складъ у автора, Барятинская № 6.
(5—3)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის
სანატორიუმი

პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე

ქალ-ვაჟთათვის 8—5 წლამდე

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**
ვარდისუბნის ქუჩ. № 9

(წ.)